

სახალხო ხალხი

სუკრათეზიანი დამატებები

გაზეთის № 164.

კვირა, 21 ნოემბერი 1910 წ

დამატების № 28



ბრძოლის ველზე. — ქანდაკება ანტოკოლსკისა.

ახალი კერპი

ამაოდ ჰგონებთ... სულ ვერ იცნობთ ჩემს გულის სატრფოს:

ცის ასულია და ოცნების აქვს ტურფა სახე!
ჩამოჰგავს ყვავილს და იღუმალ ჰანგზედა ჰკალობს...
ერთხელ და ისიც მხოლოდ სიზმრად ჩვენებად ვნახე.

იმ დღისა შემდეგ ჩემი სული მისი სარკეა,
ლანდი გამოკრთის, ლანდი წმინდა, შვების მთოველი;
თვით ღვთაება-კი უხილავი მუდამ ცალკეა,
იმედს ჰფენს სოფელს, თვით სოფლისთვის მიუწვდომელი.
შე მას,—ახალ კერპს,— ძეგლს აღვუგებ თანამფრენ
დროსთან.

ლოცვას გასწავლით და ის ლოცვა გარდაგქმნით ყველას;
თვით გავედები წმინდა ხილად მის სამთავროსთან
გაუბამ ქსელსა, მრავალ ფერსა, ვით ცისარტყელას.

და შევეერთებ ორ სამეფოს: ცასა და ხსელეთს,
გზას გაგინათებთ, ცეცხლს აღგიგზნებთ უკვდავებისას!
განსპეტაკებულთ დაგაშორებთ უკუნეთ ბნელეთს
და დაგამკვიდრებთ „მზის სამეფოს“ აღტაცებისას!

ა. შანშიაშვილი.



თ ა ი გ უ ლ ი

მუზის სახით მოვლენილო,
ნუ თუ მეტად ველარ განახავ,
და შენს სიტყვას, კანკალით თქმულს,
მხოლოდ სულში ჩავიმარხავ?—

„მე მივდივარ სამუდამოდ,
თუმც აქ რჩება ჩემი გული,
და მის ნიშნად გამომართვი
ეს ფერადი თაგული.“

„ჰხედავ, ძალზე წითელია,
ვარდი სქარბობს ეკლიანი,
ხოლო ია მოკრძალებით
იჩრდილება შავ-დღიანი!“

„არ დავზოგე პაწა ბაღია,
სულ დავკრიფე ყვავილები.
ან რად მინდა? ხომ მივდივარ
და ყველაფერს ვეთხოვები.“

„თუ რამ დარჩა და იხარა,
შენ გაბარებ—მორწყო წყლითა,
და თან ზედაც დაამდრო
ჩემი ხსოვნა სევდის ხმითა!..“

* *

მაშ მშვიდობით! ნუ თუ რაც სთქვი,
ჩემო ტურფავ, მართალია,
და ეს წაში სანეტარო,
ვაი, ჩვენთვის გამქრალია?
თაიგული წინა მედგა
საყნოსად და დასამშვენად,
ვუვლიდი და თავს დავტსრფოდი
შენსკენ ფიქრით გასაფრენად.

და ვიხილე უბედურისა,
შეუმჩნევლად დამქნარიყო,
არც სიწითლე, არც სინორჩე,
არც სიამე აღარ იყო!

მივესწრაფე შენს პაწა ბაღს,—
ყვავილები არსად სჩანდა,


შიშველ ღეროს, შენგან ძარცვულს,
მხოლოდ ცვარი ცრემლსა ჰბანდა.

შენის დაკვრის წკრილა ხმა
ფანჯრიდან არ მოისმოდა,
და შენს ნაცვლად იაღონი
ობოლს ბაღში გაჰკიოდა.

შინ დავბრუნდი თავ-ჩაღუნვით
და ოცნებას მივეც თაღი...
მალე—ჰოი ნეტარებავ!—
წარმომიდგა უხილავი:

შენი სახე, შენი თვალი,
შენი უცხო თაიგული,
ისევ ვნახე ცოცხლად ბაღში,—
ბაღი იყო ჩემი გული!..

მელიტონ გობეჩია.



ამონაპვნისი

VII.

შემომქმედი,

რჩეულთა პატარა წრეში ახლო მეგობრები და გულ-
წრფელი თაყვანისცემლები მოქანდაკეს უმართავდნენ დაბა-
ლებიდან ორმოცის წლის დღესასწაულს.

თვით მოქანდაკის ოთახში შეეკრიბათ საუკეთესო მისი
ნამოქმედარი. მოქანდაკეს კი ისინი რეგ-რიგზე განათებისა
და ერთმანერთთან შეხამების მიხედვით დაელოდებინა.

აქ იყო პირველი ქანდაკება ახალგაზდა პოეტისა: „გა-
ზაფხული“. იგი წარმოადგენდა მარმალილოსაგან გამოქან-
დაკებულს პატარა ბუჩქს; ფოთლები, ყლორტები ისე ცოც-
ხლად, მხიარულად ქანაობდნენ, რომ ჰხედავდით ბუნების
გამოღვიძებას, მხიარულ ქრიაშულს, რომელიც ტოტთა
შორის დარჩენილი იყო, ჰხედავდით მზის ოქროსფერს სხი-
ვებს, მწვანე ფოთლებს რომ ეცემოდა.

აქვე იყო უკანასკნელი თხზულება: „გამარჯვება“.
სრულიად ტიტველ ახალგაზდა ყმაწვილის გამომეტყველ
სახეში, შორს მკვრეტ თვალეში, ბრძანებით გაწვდილ
ხელ-მკლავში მხატვარს აღებეჭდა სიხარული გამარჯვებით,
პასუხისგების გრძნობა გამარჯვებისა და მზაყოფნა ხელმეო-
რედ ბრძოლისა.

სტუმრები მიუახლოვდნენ დარბაზში მყოფ ერთად-
ერთს სურათს, რომელიც შუა კედელზედ ეკიდა.

— შეხედეთ ჩვენის მოქანდაკის სურათს. როგორი
ცოცხალი, ღონიერი და ლამაზი ყოფილა! ეხლა კი
რასა ჰგავს? სულ 15 წელი გავიდა ამ სურათის დაბატის
შემდეგ და რა ცვლილებაა! ძვირად მინახავს, ადამიანი ეგ-
რე გამოცვლილიყოს!..

ქანდაკებანი კი ერთმანერთს უყურებდნენ და სევდით
ლაპარაკობდნენ: „სულელი ადამიანები!.. სულელი ადა-
მიანები!..“

სადაა ეს მიზნედილი, ვნებათა ღელვით სავსე თვალეში,
ერთის შეხედვით რომ გიმონებდა? განაგრძო მობაასემ.

მე მაქვს, ჩაილაპარაკა „პარისმა“.
მხიარულებას ეხლა ველარ შეამჩნევ მის სახეს, წინა-
კი — შეხედეთ სურათს! — ყოველი ასო ცხოვრების წი-
ნაშე სიხარულით არის გამსჭვალული.

მაგიერად ჩემში გამოაქანდაკა! ხარხარით წამოიძაბა
„მაიამ“.

მახსოვს, როცა ჩვენ კოპუსს ვათავებდით, 17 წლისა ვიყავით. ის ადვილად დაახვევდა თოფის ზუმპას სამაჯურით; ეხლა კი ჩაქუჩი ძლივს უჭირავს მუშაობის დროს. ნამდვილ მოქიდავის ტანი ჰქონდა: ფართო მხარ-ბეჭი, მალალი მკერდი, კაჟივით მაგარი ძარღვები ფეხებსა და ხელებზე.

მე გადმომცა ჩაიბუტბუტა „ჰერკულესმა“. საკვირველია ამ ადამიანის ბედი. თითქოს ყველაფერი, რაც-კი რამ ჰქონდა სახარბიელო, უნდა დაჰკარგოდა, გარდა უებარის ნიქისა. თვით შეძლებაც სრულიად გაფლანგა და ეხლა მხოლოდ ქანდაკებათა საფასურით სცხოვრობს. რას აიღებ ეხლანდელ დროში, თუ კი არ ისურვებ ბრბოს მოეწონო...

განა მე სიმდიდრეს არ შევადგენ? გაკვირვებით იკითხა „ათინამ“. ეს ქანდაკება თითქოს მიბაძვა იყო ფიდიასისა: ისეთივე პოზა; ისეთივე სპილოს ძვალი; ისეთივე ოქრო ეხმარა თანამედროვე მოქანდაკეს, მაგრამ შთაბეჭდილებას სულ სხვას ახდენდა. ეხლანდელი მოქანდაკის „ათინა“ აღარ იყო ღმერთი, ამაყი, გულ-ქვა და გადაქარბებათ მოსვენებული, არამედ ნაზი, ტკბილი, მოქნილი, ჩაფიქრებული ქალიწვილი, რომელიც თავის მშვიდის სილამაზით ვაჟს აღუძრავს სურვილს ყოველისფრის შეგნებისას, გონების ვარჯიშობისას, შესწავლისას.

ბის წინაშეო.
მხოლოდ თვალეში გამოიხატებოდა წარმოუდგენელი სურვილი სიცოცხლისა: ისინი ციმციებდნენ, როგორც ორი ობოლი, ბუდიდან გადმომცქერალი ბარტყი.

გრძნობდით, რომ ქანდაკებას ზურგს უკან უნდა ჰქონოდა ფრთები. მართლაც, როცა შემოუარეს ქანდაკებას, შეამჩნიეს ჩანასახი ფრთებისა; ისეთი პატარა ორი ფრთა გაეკეთებინა მოქანდაკეს, რომ გვეგონებოდათ ესენი პეველას დარჩენილი.


რა მშვენიერებაა! რა სევდიანია! რა ბრძოლაა სიცოცხლისათვის! გაიძახოდნენ მკვრეტელნი.

მოქანდაკე სადაა? უნდა მიულოცოთ ასეთი გამარჯვება! სად დაიკარგა? სადაა? იძახდნენ უფრო და უფრო განცვიფრებული თაყვანის მცემლები და ახლო მეგობრები.

— ჩვენშია დამარხული. ჩვენ შორის არის დაყოფილი! იძახდნენ ქანდაკებანი.

— საწყალი, სულელი ადამიანები! — იძახდნენ ქანდაკებანი: სად ეძებენ? ჩვენშია დამარხული, ჩვენ შორის არის დაყოფილი მოქანდაკე! სად ეძებენ? იძახდნენ ქანდაკებანი, როცა სტუმრები საწოლ ოთახში შევიდნენ და ლოგინზე გარდაცვალებული მოქანდაკე ჰპოვეს.

6. ლორთქიფანიძე.



ლ. ნ. ბოლსტოი თავის ოჯახში.

რას გვემალება ჩვენი მასპინძელი? დაეკითხა ახალგაზდა მხატვარი მოქანდაკესთან განსაკუთრებულად დაახლოვებულს მეგობარს.

ისიც გვიმზადებს დღესასწაულისთვის ნობათს—ახალს ქანდაკებას ჰკვეთს და ვერ შორდება სამუშაო ოთახს! უბასუხა მეგობარმა.

სტუმრებს მოსწყინებიათ მარტო სიარული და უნდათ მასპინძელი ენახათ.

ბოლოს გააღეს სამუშაო კარიც.

მოქანდაკე არც იქ დახვდათ სამაგიეროდ მთელ საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ერთმა ქანდაკებამ, რომელსაც ჯერ კიდევ ეყარა ახლად ჩამოფხეკილი მტვერი. ეს იყო: „სული სიკვდილთან მებრძოლი“. მარმარილო წარმოადგენდა მინაზებულს, დაქანცულს ყმაწვილს; სახის კანი ისე დანაზებოდა, რომ ლურჯი ძარღვები ნათლად კოსჩანდა; გამხმარ-გაყვითლებულ ლოყებს შორის ფირფიტასავით თხელი, მოღუნული ცხვირი ამოდ სცდილობდა ჰაერი აეკრიფა. სქელი, მგრძობიარე ტუჩები დანაცრულიყო. პატარა ყურებს, რომელნიც დაბაბროდნენ, ზევიდან ურტყამდა ბუმბულივით წვრილი, გრძელი თმა; ჯოხივით გრძელი, უძარღვო და უხორცო მკლავები პირჯვარის გადაწერას თუ მოახერხებდა მშვენიერებაზე. მუხლები თითქმის ადამიანის ენით იხვეწებოდნენ, ჩაგვკეცეთ მშვენიერე-

შეშოღობა

სუსხი აქცნობს სათუთ ფოთლებს, ველი გლოვობს, ტყე ტიტვლდება, ნისლი ჰბურავს ბუმბერაზ მთებს, აღმეფრენას სული ჰხდება.

მიჰქრის შვება,
ჰკენესს ბუნება,

გულს ფიქრები,
სევდის ფრთები,
ვით მთას ნისლი, ესვენება.

ტატნობს მწუხრის ნისლი ჰფარავს, იქ სიკვდილი დანავარდობს, სივრცე—ჰაერს შავად სცარავს, ცა მდუმარებს, მიწა დარდობს.
დაჰქრის ქარი
შესაზარი,
სტირს მდინარე
გულ-მწუხარე,
შორს, შორს ისმის გლოვის ზარი.

მეც სევდა მფლობე: ვით დემონი,
 ლალ ლაქვარდში დავსრიალებ,
 მტრულის ზრახვით გაქვნილი
 კაცთ სამყაროს დაქტრიალებ.
 ცხოვრების მთას კვნივით ვზარავ,
 უღვთოდ კრული და ეული,
 მსურს თვით მზეზე ავიტანო
 გულის სწრაფვა დაქცეული.
 კაცთ დევნილი—ცამ მიმიხმო,
 აღმაფრენამ შემითვისა,
 გრძნეული ვარ მსოფლიოსი,
 გრძნეული ვარ ვარსკვლავ-მზისა!
 დე ჩემ ფეხთ ქვეშ ყოველივე
 ირყეოდეს, შიშით ძრწოდეს,
 დე დაიმხვრეს... არ შევდრკები,
 არასოდეს... არასოდეს!

მე გველი ვარ... გულით დამაქვს
 შხამი მიწით ანაწური,
 განუყრელად თანვე მახლავს
 მტრის მოძღვნილი მტრობა-შური.
 და ბუნების სევდის ჰანგებს
 ვუერთებ ჩემს აკკორდს ციურს,
 გრძობით ვუმღერ ქვეყნის ღუშმანთ
 შავ სიმღერას დემონაურს.
 ნაღველში ვქსოვ, შხამში ვქარავ
 სულის სწრაფვას ტიტანიურს.
 და ეგ მღერა,
 ჩანვის ჟღერა

სევდის ჰანგად,
 გულის მდაგად
 შორს, პიტალო თხემზე კრთება,
 ცის ეთერში იღვსება;
 თან ლაქვარდში, ღრუბელთ ზღვაში
 მწუხრის ზარად დაინთქება.

ახ, სუსტი-კი აქნობს ფოთოლთ
 მიჭკრის შვება,
 სტირს ბუნება,
 დაჭკრის ქარი,
 ოხრავს ბარი,
 აღმაფრენა კვდება... კვდება!
 ირგვლივ დაძრწის კაეშანი,
 მღუმარეა ველი ომის...
 ვაჰ, რად არი სევდიანი
 სიმღერები შემოდგომისა?!

6. ჩხიკვაძე.

ლიბერალური ცნობანი

უან-უაკ რუსო და შაერში ფრენა

„მზის ქვეშ ახალი არა არისრა“—ნათქვამია. ბეგრი
 „ახალი“ აღიარებულია აზრი ძველს მოაზრებებს უკვე გამოუთ-
 ქვამთ. მხალდა ამ აზრის განხორციელება თუა ახალი. ფრან-
 კულ ჟურნალში, Mercure de France, მოყვანილია შინაარსი
 უან-უაკ რუსოს ერთის ნაკლებად ცნობილ წერილისა, რომელიც
 დაიბეჭდა რუსოს სიკვდილის შემდეგ, 1801 წ. წერილს სათა-
 ურად აქვს „ახალი დედამისი“ და ეხება ქვერში ფრენის შრო-
 ბებს. რუსოს აზრით „პირველ ყოვლისა საჭიროა ვიპოვოთ
 სხეული, რომელიც თანაბარ სივანის ქვერზე მსუბუქი უნდა იყოს.

თუ ახას მივაღწიეთ, საჭიროა კადვე ვიცოდეთ, რაგან...
 რათ ამ სხეულის მადლა წევა, ან ძირს როგორ ჩამოვიყვანოთ.
 ეს შეიძლება სიძნელე პირველისაზე ნაკლები არ არის. ცხადია,
 ვინც ამ ორს საჯანს გადასწევს, მისთვის გამოკვეთილი იქ-
 ინება ქვერში ფრენის შრომადაც“.

ჩვენ ვიცით, რომ ეს აზრი რუსოსი დღეს უკვე ხორციელდება.

ქალი აკადემიკოსი

მოგესხებათ, რომ საფრანგეთის „უკვდავთა აკადემია“
 კარ-დახმულია ქალებისათვის. ამ ნაკლს ასწორებს ძმ. კონკრეტთა
 მიერ დაარსებული აკადემია, სადაც ამ დღეებში წევრად არჩეულ
 იქმნა მწერალი ქალი იუდიო გოტიე, შვილი ცნობილ რომანტი-
 კოსის თეოფილ გოტიესი და ცოლი შარშან კარდაცვალებულ
 ზანსაჟის კატულ მანდესისა. ფრანგის ქალის ნამდვილი ტიპი
 იუდიო გოტიე მეტად დამახინა არა მარტო თავის სახით, არა-
 მედ თავისის ქნარითაც.

შინეს წერილები

მარტო ქართული პოეტები არ განიცდიან შიმშილს და
 სიღარიბეს! გენის გაზეთმა, Neue Freie Presse, გამოაქვეყნა
 ახალი დაუბეჭდავი წერილები ჭერის ჭეინესი, გაგზავნილი მისის
 ძმის, ავსტრიელ ოფიცრის გუსტავისადმი. წერილებში გამოაქვეყ-
 ნია პოეტის გაჭირვება უფულობისა, საფრანგო ზრუნვისა და ავად-
 შეფთობისა გამო. ერთს წერილში პოეტი მოგვითხრობს, სხვათა
 შორის, თუ რა ხერხი უნდა ეხმარა საჭირო სახსრის მოსაპოვებ-
 ჯად. მან შეატობინა სხვა პირის საშუალებით თავის გამოძეგ-
 მელს კამპესს, ფითომ ახალ წიგნის გამოცემა ძმის მიანდო და
 კიდევ მისგან ბე მიიღო. ამ ამბავმა სასურველად იმეძმედა
 ძუნწ გამოძეგმელზე. მაგრამ ჭეინე წუხილით უმატებს: „თათ-
 ქის ასეთა პატიოსანი საქმეა, და მანც უნდა ვიქმნაჟო“.

კოლხიდელი მედია უცხოელთა ტრაგედიაში

ამას წინაღ ჩვენმა ისტორიკოსმა ად. ხახანაშვილმა გაზეთ-
 ში, Зарубе. Обзор. განისაღა ფრანგ კრიტიკოსის ტრაგე-
 დია „აქროს საწმისი“ და დაგვირდა შემდეგში ავსტრიულ პოე-
 ტის მედიას შედარებას ელდინ უგრიზიდესს, რუს სუფორანისა
 და ქართულ აკაი წერეთლის ტრაგედიაში. გვაკვირს, რად არ
 მოიხსენიებ პატივცემულმა პრაფესორმა, „მედიას“ ჩამოთვლილ
 ავტორთა შორის საფრანგეთის კლასიკოსის კორნეილის „მედიაც“,
 რომელიც არა ნაკლებ გამოადგებოდა ამ კოლხიდელ ქალის სხვა
 და სხვა ტიპთა შესადარებლად.



ახალი „მოდა“